ქალთა ფონდი საქართველოში
WOMEN'S FUND IN GEORGIA



# 2022 წლის ანგარიში

# საგრანტო პროგრამები

## ქალთა ფონდმა 2022 წელს გასცა 5 ძირითადი ოპერაციული მხარდაჭერის გრანტი

ეს არის შეუზღუდავი, მოქნილი საგრანტო პროგრამა და განსაზღვრულია გრანტის მიმღების მთლიანი, ორგანიზაციული მხარდაჭერისთვის და არა კონკრეტული პროექტული დაფინანსებისათვის.

- რაჭის სათემო ორგანიზაცია
- ქვიარ ასოციაცია თემიდა
- ქალი და რეალობა
- წინ ახალი შესაძლებლობებისკენ
- უხუცეს ქალთა საბჭო

# პროგრამები


საქართველოში მყოფი უკრაინელი და ბელორუსი სამოქალაქო აქტივისტი ქალების მხარდასაჭერად 01

ქალთა შრომით უფლებების ადვოკატირება 02

ქალთა სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობა და უფლებები 03

სათემო გრანტების კონკურსი გურიაში, რაჭაში, კახეთსა და იმერეთში არსებული ორგანიზაციებისა და საინიციატივო ჯგუფებისთვის 04

ფემინისტური ადვოკატირება 05

დალხენის პრაქტიკები და ფემინისტური მოძრაობა 06

ქალთა უფლებებისა და ქალთა უფლებების აქტივისტების დაცვა 07

ფემინისტური მოძრაობის განვითარების ხელშეწყობა 08

ქალი უფლებადამცველებისა და ფემინისტი აქტივისტების რეაგირება კონსერვატიული და ანტი-გენდერული მოძრაობების საპასუხოდ 09

ფემინისტური ადვოკატირების გრანტები 10

ქალთა მიმართ ძალადობის პრევენცია 11

გარემოსდაცვითი სამართლიანობა 12

ინტერსექციური ფემინისტური მოძრაობა 13

ქალთა შრომითი უფლებები 14

ღონისძიებები 15

ღია კარის პროგრამა 16

ქალთა უფლებები და გარემოსდაცვითი სამართლიანობა 17

ინტერსექციური ფემინისტური მოძრაობის განვითარება 18

# საქართველოში მყოფი უკრაინელი და ბელორუსი სამოქალაქო აქტივისტი ქალების მხარდასაჭერად

### მხარდაჭერილი საქმიანობები:

• უკრაინიდან ლტოლვილი ქალების (სულ 50) და ბავშვების (სულ 12) ფსიქო-სოციალური მხარდაჭერა;

• შიდა ქართლში ომის შედეგად დაზარალებული უკრაინელი მოსახლეობის ჯგუფების უფლებების დაცვა და საარსებო წყაროებზე ხელმისაწვდომობის გზარდის ხელშეწყობა;

• უკრაინიდან ლტოლვილი ბავშვების ინტეგრაციის ხელშესაწყობად სკოლე-ბის გაძლიერება და მასწავლებლებისთვის ამ ჯგუფის მოსწავლეების სპე-ციფიკისა და საჭიროებების შესახებ ცოდნის მიწოდება;

• უკრაინიდან ლტოლვილი ქალებისთვის არსებული შესაძლებლობებისა და სერვისების შესახებ დეტალური ინფორმაციის მიწოდება მათ მშობლიურ ენაზე; მათი საჭიროებების კვლევა და გაჟღერება;



**ქალთა ფონდი შეუერთდა კამპანიას, უკრაინაში მყოფი ქალებისა და ბავშვებისთვის ფინანსური რესურსის შესაგროვებლად.**

# ქალთა შრომითი უფლებების ადვოკატირება

## მხარდაჭერილი საქმიანობები:

• ქიათურისა და საჩხერის მუნიციპალიტეტებში ინფორმაციის შეგროვება შრომითი უფლების შესაძლო დარღვევების შესახებ, პრობლემის იდენტი-ფიცირება, კონსულტაციის გაწევა და შესაბამის სტრუქტურებთან გადამისა-მართება;

• ტრანს თემის გაძლიერება და მათი დასაქმების პრობლემის მოგვარება, შრომითი უფლებების ადვოკატირება და თემის წევრებისთვის პრაქტიკული ცოდნის და უნარების გამომუშავების ხელშეწყობა;

• სეზონურ შრომაში დასაქმებული ქალების უფლებრივი გაძლიერება და სა-მართლებრივი მხარდაჭერა ქობულეთის მუნიციპალიტეტში;

• ქიათურაში მცხოვრები გოგონებისთვის არაფორმალური, უსაფრთხო სივრ-ცის შექმნა და ქალთა შრომითი უფლებების შესახებ ცნობიერების ამაღლება;

• სოფლად მცხოვრები ქალთა აქტივიზმის ხელშეწყობა და მთაში მცხოვრებ ქალთა შინ შრომის ხილვადობის გაზრდა;



# ქალთა სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობა და უფლებები

## მხარდაჭერილი საქმიანობები:

• გოგოების, ქალებისა და სფეროში მომუშავე სპეციალისტების ცნობიერე-ბის და მგრძნობელობის გაზრდა სექსუალური და რეპროდუქციული ჯან-მრთელობისა და უფლებების შესახებ;

• ქალ სტუდენტებში ჰიგიენური საშუალებების ხელმისაწვდომობის კვლევა და ხელშეწყობა;

• ქვემო ქართლის სოფლად მცხოვრები ქალებისთვის გინეკოლოგიური და სექსოლოგიური სერვისების მიწოდება;

• ქალების ფსიქოლოგიური ტრავმის ზემოქმედების შემცირება ორსულობის და მშობიარობის შემდეგ პერიოდში;

• ორგაზმის შესახებ არსებული მითების დანგრევა და მისი სასარგებლო მხა-რეების შესახებ ტექსტური მასალების მომზადება;

• გარდაბნის მუნიციპალიტეტში პაპილომა ვირუსის და მისი პრევენციის შესახებ ცნობიერების ამაღლება, ვაქცინაციის მიმართ ნდობის გაზრდა;

**ამავე თემაზე ქალთა ფონდი ცნობიერების ამაღლების კამპანიაში ჩაერთო და მოამზადა ორი საინფორმაციო ვიდეო პაპილომა ვირუსის და მშობიარობის და პოსტ-სამშობიარო სირთულეების შესახებ; ასევე ილუსტრაცია პაპილომა ვირუსის ვაქცინაციის ეფექტურობისა და უფასო პროგრამის განახლებული პირობების შესახებ**



# სათემო გრანტების კონკურსი გურიაში, რაჭაში, კახეთსა და იმერეთში არსებული ორგანიზაციებისა და საინიციატივო ჯგუფებისთვის

## მხარდაჭერილი საქმიანობები:

იმერეთი

- იმერეთის რეგიონში ქალი მეწარმეების ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობა
- ხონის ლიდერ ქალთა სკოლის შექმნა
- შშმ ქალთა მოძრაობის განვითარება და მათი პოლიტიკური მონაწილეობის წახალისება.
- დევნილი და ეკომიგრანტი ქალების ინფორმირებულობის გაზრდა შრომითი უფლებების შესახებ.

კახეთი

- რეგიონში მცხოვრები ქალების ჩართვა ადგილობრივი პოლიტიკის ფორმირებისა და განხორციელების პროცესში;
- პანკისის ხეობაში მცხოვრები ქალების ეკონომიკური გაძლიერება და მათი ინტეგრაციის ხელშეწყობა;
- ონის მუნიციპალიტეტში მცხოვრები დასაქმების საჭიროების მქონე ქალების ინდივიდუალურად დახმარება სამეწარმეო პროდუქტის შექმნისა და მისი რეალიზაციის სწორად დაგეგმვისთვის;

## გურია

- რეგიონში გენდერული თანასწორობის საკითხებზე ცნობიერების გაზრდა;
- გოგოების STEM მიმართულებით დაინტერესება და გაძლიერება გურიაში, რაჭასა და იმერთში;
- ოზურგეთის მუნიციპალიტეტში მცხოვრები სხვადასხვა ეროვნების წარმომადგენელ ქალთა ეკონომიკური შესაძლებლობების გაძლიერება;
- დაბა ნასაკირალში მცხოვრები ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელი ქალების გაძლიერება მათთვის ქართული, ინგლისური ენის და კომპიუტერიის საბაზისო კურსის შეთავაზებით.



# ფემინისტური ადვოკატირება

## მხარდაჭერილი საქმიანობები:

- ქალი სოციალური მუშაკების ფიზიკური და მენტალური ჯანმრთელობის დაცვა და პროფესიული გადაწვის რისკების შემცირება თერაპიის მეშვეობით;

- ქალთა ფემინისტური მოძრაობების გაძლიერებაზე ორიენტირებული კონტენტის (20 ვიდეორეპორტაჟის) შექმნა, რეგიონში მცხოვრებ ქალთა საჭიროებებზე ფოკუსით;

- გენდერის კვლევის მნიშვნელობის შესახებ ცოდნის გავრცელება, ანტიგენდერული მოძრაობების გააქტიურების კვალდაკვალ საქართველოში;

- კოლექტიური ფემინისტური პლატფორმის შექმნა ალტერნატიული ფემინისტური დღის წესრიგის ჩამოყალიბების მიზნით.



# დალხენის პრაქტიკები და ფემინისტური მოძრაობა

## მხარდაჭერილი საქმიანობები:

- ქალი უფლებადამცველებითვის, ფემინისტი და ქვიარ აქტივისტებისთვის თვითზრუნვისა და კოლექტიური ზრუნვის პრაქტიკების სწავლება, ზრუნვის პრაქტიკის დანერგვა ინდივიდუალურ ორგანიზაციულ და თემის დონეზე;

- საქართველოს დაუნის სინდრომის ასოციაციის დამფუძნებლებისა და დირექტორთა საბჭოს წევრი დედებისთვის თვითრეფლექსიის, დასვენების და ძალების აღდგენის საშუალებების შექმნა;

- ადგილობრივი მცენარეებისა და ბიომრავალფეროვნების შესახებ მაღალმთიან აჭარაში მცხოვრები მალხინებელი ქალების ზეპირსიტყვიერი ცოდნების შეგროვება და გავრცელება;

- ტრავმული გამოცდილების მქონე ქალების მენტალური გაძლიერება და მათი ციფრული უსაფრთხოებისთვის აუცილებელი საბაზისო უნარებით აღჭურვა;

- ქვიარ და ფემინისტ აქტივისტ ქალთა მხარდაჭერა ფსიქიკურ ჯანმრთელობაზე ზრუნვის და ფიზიკური უსაფრთხოების უნარების გაძლიერებით;

- ალტერნატიული ციფრული საკომუნიკაციო საშუალების შექმნას;



# ქალთა უფლებებისა და ქალთა უფლებების აქტივისტების დაცვა

### მხარდაჭერილი საქმიანობები:



- ქალი აქტივისტებისა და უფლებადამცველებისთვის უსაფრთხო და მზრუნველი სივრცის შექმნა ეფექტიანი მუშაობისთვის;

- მეწარმე ქალთა ქსელის გაძლიერება და მისი წევრების (მათ შორის, აფხაზეთის რეგიონში მცხოვრები) დახმარება ბიზნეს იდეების დახვეწასა და განხორციელებაში;

- აჭარის რეგიონში ეკონომიკური ძალადობის პრევენციისთვის ქალთა უფლებადამცველების გადამზადება;

- ქვემო ქართლში ქალთა ფსიქოლოგიური და სამართლებრივი მხარდაჭერის ცენტრის შექმნა;

- ომით დაზარალებული გოგონების და ქალების მხარდაჭერა და გაძლიერება შიდა ქართლში.



# ფემინისტური მოძრაობის განვითარების ხელშეწყობა

## მხარდაჭერილი საქმიანობები:

• არსებული სილამაზის სტანდარტების ქალთა ცხოვრებაზე უარყოფითი გავლენის გამოკვეთა;

• სომხურენოვანი რეგიონალური მედიის მგრძნობელობის და ცნობიერების ამაღლება ფემინიზმის გარშემო ქვემო ქართლსა და სამცხე ჯავახეთში;

• გორში დაარსებული ქალთა პირველი საზოგადოების „მანდილოსნის“ საქმიანობის სიღრმისეული კვლევა და ამ ცოდნის გავრცელება;

• კონფლიქტისპირა რეგიონებში ადგილობრივი ფემინისტური რესურსების ჩამოყალიბება;

• სილამაზის სტანდარტების გამო, გოგოების ბულინგის კვლევა და გამოკვეთილი პრობლემების პრევენციის გზების დასახვა;

• ქართველი, აზერბაიჯანელი და სომეხი ქვიარ ფემინისტებისა და უფლებადამცველებისთვის კოლექტიურ ზრუნვასა და სოლიდარობაზე დაფუძნებული თვითორგანიზებული სივრცის შექმნა.

**ხელი მოვაწერეთ პარტნიორობის შეთანხმებას შვედეთის საელჩოსთან, რომელთან ერთადაც ფემინისტური მოძრაობის გაძლიერებაზე ვიმუშავებთ.**

# ქალი უფლებადამცველებისა და ფემინისტი აქტივისტების რეაგირება კონსერვატიული და ანტი-გენდერული მოძრაობების საპასუხოდ

### მხარდაჭერილი საქმიანობები:

• ლესბოსური წინააღმდეგობის გაძლიერებისთვის სტრატეგიის ჩამოყალიბებაში ხელშეწყობა; ჯგუფის შიგნით თვითზრუნვის პრაქტიკების დამკვიდრება და ვირტუალური და ცოცხალი სივრცეების შექმნა;

• ქალების უხილავი და გაუფასურებელი გამოცდილებების, დამოკიდებულებებისა და მოსაზრებების შესწავლა და თაობათა შორის დიალოგის ხელშეწყობა დმანისსა და ბოლნისში;

• აჭარის მაღალმთიან მუნიციპალიტეტებში მცხოვრები შშმ ქალთა და გოგონათა გაძლიერება და ადგილობრივ დონეზე გადაწყვეტილების მიღების პროცესებში ჩართულობის ხელშეწყობა.

• საქართველოში მცხოვრები სხვადასხვა ეთნიკური იდენტობის მქონე მუსლიმი ქალების საჭიროებების კვლევა და მათი ხმების გაძლიერების ხელშეწყობა კახეთში, აჭარასა და ქვემო ქართლში.



# ფემინისტური ადვოკატირების გრანტები

## მხარდაჭერილი საქმიანობები:

- სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობისა და უფლებების საკითხებზე თბილისში, კახეთის 5 მუნიციპალიტეტსა და პანკისის ხეობაში მცხოვრები მშობლებისთვის სანდო და ზუსტი ინფორმაციის მიწოდება;

- გოგოების ინფორმაციული გაძლიერება სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობისა და უფლებების შესახებ;

- საქართველოში ულტრამემარჯვენე ჯგუფების ანტი-გენდერული რიტორიკის შესწავლა და ქალთა მოძრაობის წინააღმდეგ არსებული საფრთხეების შესახებ საზოგადოების ინფორმირებულობის გაზრდა;

- კატასტროფების რისკის შემცირების, კლიმატის ცვლილების შერბილების და ადაპტაციის პოლიტიკის ანალიზი და მისი გენდერული მგრძნობიარობის შეფასება და შესაბამისი რეკომენდაციების მომზადება;









# ქალთა მიმართ ძალადობის პრევენცია

## მხარდაჭერილი საქმიანობები:

- რეგიონში არსებულ ქალთა საფეხბურთო კლუბებში გენდერული დისკრიმინაციის ხილვადობის გაზრდა და შესაძლო პრევენციული ზომების შემუშავება ქალთა მიმართ ძალადობისა და ფემიციდის შესახებ ცნობიერ-ების გაზრდა და პრევენცია იმერეთის რეგიონში;

- ბოლნისის მუნიციპალიტეტის სოფლებში მცხოვრები ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი მოსწავლე გოგოებისთვის გენდერული თანასწორობის, მათი უფლებების, იძულებითი ქორწინებსა და სხვა საკითხების შესახებ ინფორმაციის მიწოდება;

- თეთრიწყაროს რაიონის მოსახლეობაში ქალთა მიმართ ძალადობის პრევენცია ცნობიერების ამაღლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ქალთა უფლებების დაცვასთან დაკავშირებული საქმიანობის მონიტორინგის გზით;

- გენდერული ნიშნით ძალადობის პრევენცია პანკისის ხეობის მოსახლეობაში, სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობისა და უფლებების შესახებ ცნობიერების ამაღლების გზით;

- ძალადობის მსხვერპლი ქალებისთვის ფსიქო-სოციალური პროგრამის შექმნა ქუთაისში;

- ქვემო ქართლში მცხოვრები ძალადობის მსხვერპლი ქალებისთვის თავშესაფრისა და ფსიქოლოგიური დახმარების უზრუნველყოფა;

- სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობის უფლებების ადვოკატირება შშმ ქალთა პერსპექტივიდან და „თანატოლთა პლატფორმა სრჯ უფლებებისთვის“ შექმნა;

# გარემოსდაცვითი სამართლიანობა

### მხარდაჭერილი საქმიანობები:

- რაჭის ტყეების იჯარით გაცემასთან დაკავშირებით რაჭაში მცხოვრები ქალების ცნობიერების ამაღლება; ორგანიზაციების, სამოქალაქო აქტივისტების და მოხალისეების იდეების და გამოცდილებების გაზიარება, კამპანია #ვიცავთრაჭას - უფრო ეფექტურად წარმართვისთვის;

- ადგილობრივი ქალების გააქტიურება და გაძლიერება საარსებო გარემოს შენარჩუნებისთვის ბრძოლაში რაჭაში, შუახევსა და ზესტაფონში, სადაც ჰაერის, წყლისა თუ მიწის – ექსპლუატაციის, მოსახლეობის გარეშე გასხვისების და დამდგარი ეკოლოგიური და სოციალური ზიანის გამოცდილებაა დაგროვილი.



# ინტერსექციური ფემინისტური მოძრაობა

## მხარდაჭერილი საქმიანობები:

- ფოთის მაღალი დაბინძურების ზონებში მაცხოვრებელი ქალების  ინფორმირება, დახმარება და ადვოკატირების პროცესში ჩართვა;

- კასპის მუნიციპალიტეტში ქალებისა და გოგოებისთვის კვალიფიციური გინეკოლოგიური და ფსიქოსოციალური კონსულ-ტაციების გაწევა და სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობის შესახებ მათი და გარშემომყოფების ცნობიერების გაზრდა;

- ფსიქო-სოციალური საჭიროების მქონე ქალთა მიმართ ძალადობის რისკების შესახებ ცოდნისა და მგრძნობელობის ამაღ-ლება და მისი პრევენცია;

- პუბერტატისა და მენოპაუზის შესახებ ცნობიერების ამაღლება და ღია, უსაფრთხო სივრცის შექმნა ქალებისთვის;






- ქალების საჭიროებების კვლევა „მენსტრუალურ ჯანმრთელობასა“ და თვითმოვლის პრაქტიკებზე;
- ფემინისტური მოძრაობისთვის უსაფრთხო სივრცის შექმნა წალკასა და თეთრიწყაროში;
- ფემინისტური ქსელის გაფართოვება შიდა ქართლის მუნიციპალიტეტში;
- გენდერული ძალადობის ხილული და უხილავი ფორმების გამოვლენა შრომით მიგრაციაში მყოფი ქალების მიმართ და მათი დაცვა;
- თელავისა და ლაგოდეხის მუნიციპალიტეტებში მცხოვრები ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელი და შშმ ქალების გაძლიერება გადაწყვეტილების პროცესებში ჩასართავად;
- ინტერსექციური ფემინისტური პერსპექტივის მხარდაჭერა მკვლევართა ინტერდისციპლინური ქსელის შექმნისა და ფემინისტური კვლევითი მეთოდების განვითარების გზით.



# ქალთა შრომითი უფლებები

## მხარდაჭერილი საქმიანობები:

• ზუგდიდის მუნიციპალიტეტში თანასწორუფლებიანი გარემოს შექმნის ხელშეწყობა შრომითსამართლებრივ ურთიერთობებში;

• არაფორმალურ ეკონომიკაში დასაქმებულ ქალთა შრომითი უფლებების დაცვა, პროფესიულ კავშრებში გაწევრიანების ადვოკატირება;

• სერვისის სფეროში დასაქმებული ქალების შრომითი გამოცდილების შესწავლა და მათთვის ღირსეული შრომითი სტანდარტების დანერგვის ხელშეწყობა;

• საქართველოში მცხოვრები ეთნიკურად აზერბაიჯანელი დასაქმებული და დამსაქმებელი ქალების ცნობიერების ამაღლება მოქმედი კანონმდებლობის შესახებ;

• ეთნიკური და რელიგიური უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში, სამუშაო ადგილებზე ანტიდისკრიმინაციული პოლიტიკის დანერგვა/პოპულარიზაცია.



## კატო მიქელაძის პრემია ქალი უფლებადამცველებისთვის

კატო მიქელაძის სახელობის პრემიის დაარსებიდან მე ათე წელი ფონდმა დაჯილდოვების ცერემონიის გარეშე აღნიშნა. ღონისძიება მთლიანად დაეთმოთ პრემიის გულშემატკივრებს, მათი აზრების, უკუკავშირის და კრიტიკის მოსმენას, რადგან მომავალი წლიდან კატო მთელი რიგი ცვლილებებით დაბრუნდება.



## ვორქშოპი:

## დალხენა – ფემინისტური ამბოხი სისტემის წინააღმდეგ

# ღია კარის პროგრამა

## მხარდაჭერილი საქმიანობები:

• ომისა და კრიზისული სიტუაციების პერიოდში, ქალთა და ბავშვთა საჭიროებების გამოვლენა და მათ ფსიქოსაჭიროებებზე ცნობიერების ამაღლება;

• ეპიდემიისა და პანდემიის მედია ანალიზი ისტორიულ რაკურსში და პანდემიების თანმდევი ფსიქო-სოციალური პრობლემების გაანალიზება და პრევენცია;

• იორმუღანლოს ახალგაზრდებისთვის ქართული ენის სწავლება და მათი ინფორმირება სახელმწიფო სერვისების შესახებ;

• ძალადობის მსხვერპლთა თავშესაფრის კრიზისული ცენტრის მხარდასაჭერა, პერსონალისთვის ღირსეული სამუშაო პირობების შესანარჩუნებლად;

• გორის მუნიციპალიტეტში მცხოვრები ქალების ბიზნეს უნარების განვითარება და საკუთარი ეკონომიკური საქმიანობის სწორად დაგეგმვა;

• ხაშურის საჯარო სკოლის მოსწავლეების დედებისთვის პიროვნული გაძლიერებისა და არაფორმალური განათლების შესაძლებლობის მიცემა პანდემიის შედეგად წარმოშობილი გამოწვევების დასაძლევად;

• მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმის “ასეთი ხანგრძლივი არყოფნა” წარმოების შემდგომი პერიოდის უზრუნველყოფა;

• თანამედროვე ექსპერიმენტული ხელოვნებისა და ციფრული ტექნოლოგიების შერწყმის ნამუშევრის - Nightsss მხარდაჭერა.



# ქალთა უფლებები და გარემოსდაცვითი სამართლიანობა

### მხარდაჭერილი საქმიანობები:

• ფოთელ ბავშვებში ტყვიის მაღალი შემცველობის გამომწვევი მიზეზების დადგენა, პასუხისმგებელი უწყებების მიერ პრობლემის მოგვარების დასახვისა და განხორციელების მონიტორინგი;

• ფოთში თევზისა და ზღვის პროდუქტების საწარმოში დასაქმებულ ქალთა საჭიროებების შესწავლა და ცნობიერების ამაღლება ეკოლოგიურად უსაფრთხო სამუშაო სივრცეების საჭიროებაზე;

• მესტიაში, ადგილობრივ მეწარმე ქალთა ჩართულობის გაზრდა გარემოსთან დაკავშირებულ საკითხებში, მათთვის დამატებითი შემოსავლის შესაძლებლობის შექმნა;

• პროექტის მიზანია ქვიარ ქალებისა და არაბინარული ადამიანებისთვის ცოდნის ამაღლება მწვანე საკითხებსა და გარემოსდაცვით სამართლიანობაზე;



- გარემოსდაცვითი გამოწვევების ზეგავლენის შეფასება დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში მცხოვრები ქალების ცხოვრებაზე და მათი ცნობიერების ამაღლება  კლიმატის ცვლილების საფრთხეების და მათი შერბილების საშუალებების შესახებ;

- 14-18 წლის გოგონების ცნობიერების ამაღლება გარემოსდაცვითი სამართლიანობის, კონსერვაციის და ამ საკითხებში ქალების როლის შესახებ; აჭარის რეგიონში ეკოფემინიზმის გავრცელება;

- ქალი მეწარმეების ხელშეწყობა კლიმატისადმი მდგრადი ფერმერული მეურნეობების შესაქმნელად ბოლნისის მუნიციპალიტეტში;

- გარემოს დაბინძურების შემცირების ხელშეწყობა ნარჩენების მეორადი გადამუშავების მექანიზმის დანერგვით;

- ქიათურაში გარემოსდაცვით პრობლემებზე ფართო ფემინისტური რეფლექსია;

- ქალთა მოწყვლადი ჯგუფების დახმარება „მწვანე (მზის)  ენერგიის“ გამოყენებით, ელ. ენერგიით უზრუნველყოფა, სოციალური სამრეცხაოს ფუნქციონირება;



# ინტერსექციური ფემინისტური მოძრაობის განვითარება

**მხარდაჭერილი საქმიანობები:**

- ბოლნისის, თეთრიწყაროსა და დმანისის მუნიციპალიტეტში მცხოვრები ახალგაზრდა გოგოების ცნობიერების ამაღლება ფემინისტურ საკითხებზე, ბანაკის მოწყობა ქართველი, აზერბაიჯანელი და სომეხი გოგოებისთვის;

- ბათუმში, ქობულეთსა და ხელვაჩაურში მცხოვრები შშმ ქალებისა და გოგოების დედების გაძლიერება, ურთიერთ მხარდაჭერის ჯგუფის შექმნა და სამუშაო შეხვედრები გადაწყვეტილების მიმღებ პირებთან;

- ქვიარ-ფემინისტური საკითხების კვლევა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების სტუდენტებში;

- ფსიქოაქტიური და ნარკოტიკული ნივთიერებების მომხარებელი ლგბტქი თემის ინფორმაციული მხარდაჭერა, ზიანის პრევენცია, ადიქციის დაძლევის მხარდაჭერა და სტიგმის შემცირება;

- საუკუნის წინანდელი გაზეთის „ხმა ქართველი ქალისა“ გაცოცხლება და გადაცემა „ქალის ხმა“-ს მომზადება;



რეგიონებში  მცხოვრები ეთნიკური უმცირესობის წარმომადგე-ნელი ქალების შრომითი პრაქტიკების შესწავლა და  მათთვის ღირსეული შრომითი  სტანდარტების დანერგვის ხელშეწყობა;

ხობისა და წალენჯიხის მუნიციპალიტეტებში  სოფლად მცხოვრე-ბი ქალების უნარების  გაძლიერება და მათი სოციალური ინტეგ-რაციის ხელშეწყობა;

ქვიარ ფემინისტური იდეების გავრცელება ხელოვნების სხვა-დასხვა მედიუმის საშუალებით;

მუსიკის სფეროში დასაქმებული ან დასაქმების მსურველი ქალე-ბის არაფორმალური ქსელის შექმნა;

გოგონათა, ქალთა და ლგბტქი თემის ფემინისტური ქსელის შექ-მნა და გაძლიერება;



# 2022 წლის ფინანსური ანგარიში

**შემოსავალი**

4,058,020 ლარი

**ხარჯები:**

**გაცემული გრანტები**

2,585,834 ლარი

**სხვა დანარჩენი**

1,231,853 ლარი

# დონორები და პარტნიორები

GLOBAL FUND FOR WOMEN
Champions for Equality.

OPEN SOCIETY FOUNDATIONS

KVINFO
KØN OG LIGESTILLING

ევროკავშირი საქართველოსთვის
Project funded by the European Union

OAK FOUNDATION

rfsu

mama cash
(she changes the world)

filia
die frauenstiftung.

SIGRID RAUSING TRUST

FENOMENAL FUNDS

UN WOMEN
United Nations Entity for Gender Equality and the Empowerment of Women

calala
Fondo de Mujeres

B | S | T The Black Sea Trust for Regional Cooperation
A PROJECT OF THE GERMAN MARSHALL FUND

OPEN SOCIETY GEORGIA FOUNDATION

Sida
SWEDISH INTERNATIONAL DEVELOPMENT COOPERATION AGENCY

Equality fund

DREILINDEN

UNDP
Empowered lives.
Resilient nations.

# ქსელები

Prospera
INTERNATIONAL NETWORK OF WOMEN'S FUNDS

ARIADNE
European Funders for Social Change and Human Rights

EDGE FUNDERS ALLIANCE
ENGAGED DONORS FOR GLOBAL EQUITY

HRFN
Human Rights Funders Network